ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მილიციის 60 წლის თავი

24 ივნისს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ.

●

მოსკოვში გრძელდება საქართველოს დღეები. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა დაათვალიერეს „ოლიმპიადა-80-ის“ სპორტული კომპლექსები. საქართველოს სსრ დელეგატებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის შენობაში. საქართველოს სსრ დელეგაცია დაესწრო ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე სახლ-მემორიალის გახსნას. სახლ-მემორიალი, რომელიც ექლვნება XVII, XVIII საუკუნეებში ქართველების დასახლების ისტორიას მოსკოვში, შესანიშნავად ასახავს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიულ ფესვებს.

ალლუმი „დინამოს“ სტადიონზე

გუშინწინ თბილისელ და ერევნელ ფეხბურთელთა მატჩის შუალედში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი 60 ათასი მაყურებელი მოწმე გახდა საზეიმო ალლუმისა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს მილიციის მე-60 წლისთავს. მისი ორგანიზატორი იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

...სტადიონის სარბენ ბილიკებზე შემოდიან მედროშენი, მოტოციკლისტები, მოაქვთ დინამოელთა მიერ სხვადასხვა შეჯიბრებებში მოპოვებული თასები. მწყობრი ნაბიჯით მოაბიჯებენ ლენინის ორდენოსანი სპორტსაზოგადოების ფიზკულტურელები, მშთ-ის ნარჩინებული ნიშნოსნები, სამომსახურო-გამოყენებითი სპორტის სახეობათა წარმომადგენლები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასულე ორკესტრი, მილიციის პოდპოლკოვნიკის ალ. ჟელტუხინის ხელმძღვანელობით სპორტულ მარშს ასრულებს. მოდიან სახელოვანი დინამოელი სპორტსმენები, ვეტერანები — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები, პრიზიორები,

(დასასრული მე-3 გვ).

◆

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართული საქართველოს მილიციის 60 წლისთავის ზეიმის მომენტები.

ვ. გენგიურის ფოტოები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 122 (6933)

26 ივნისი, 1981 წ. პარასკევი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე იწყება სსრ კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი

მეგობრები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს

საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრებს საფუძველი ჩაეყარა 1958 წელს, როცა პირველად გაიმართა გდრ-ისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სპორტსმენთა შეჯიბრება.

სამი წლის მერე გდრ-ის მძლეოსნებთან ძალები სცადა რსფსრ-ის ნაკრებმა. ეს იყო 1961 წლის 23 ივნისს ბერლინში. მაშინ რსფსრ-ის სპორტსმენებმა იმარჯვეს — 178:149. იმ საინტერესო სტარტებში ორი მსოფლიო რეკორდი დამყარდა: ქალთა შორის ხ. კლაუსმა გამოიჩინა თავი — 642 სმ სიგრძეზე გადახტა. ხოლო ჭოკით ხტომაში მ. პრეისგერმა 467 სმ სიმაღლე დაძლია.

ორი წლის შემდეგ რსფსრ-სა და გდრ-ის გუნდების შეჯიბრებაში ჩაებნენ პოლონეთის მძლეოსნები. ამ სამთა მატჩში რსფსრ-ის ნაკრებმა 229,5 ქულა მოაგროვა. გდრ-ის მძლეოსნებმა — 208, პოლონელები მესამენი იყვნენ.

საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის ნაკრებთა პირველი მატჩი უმაღლეს დონეზე გაიმართა 1967 წელს კარლ-მარქს-შტადტში. უშელავათო საინტერესო ასპარეზობა სტუმრებმა — საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 173:166. აქედან მოყოლებული თითქმის რეგულარულად ტარდება ამ ორი მძლეოსნური ქვეყნის შეხვედრები.

1968 წელი. ლენინგრადი. გდრ-საბჭოთა კავშირის გუნდების შეჯიბრებაში სარბიელზე კვლავ გამოჩნდნენ პოლონელები. ევროპის ორი დიდი მძლეოსნური ქვეყნის — სსრ კავშირისა და გდრ-ის მატჩის ანგარიში იყო 275:204,5.

შემდეგ სამი წლის მანძილზე ამგვარი სამმხრივი მატჩები რეგულარულად ეწყობოდა. 1969 წელს ხოჟუვში საბჭოთა სპორტსმენებმა წააგეს გდრ-სთან — 169:170;

1970 წელს ერფურტში ასევე 1 ქულით აიღეს რევანში — 174:173.

1971 წელს კი მოსკოვში წარმატება ისევ გერმანელთა მხარეს იყო — 176,5:169,5.

მერე მატჩები 5 წლით შეწყდა და მხოლოდ 1976 წელს, მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ განახლდა. მაშინ ვარშავის ერთ-ერთ სტადიონზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა მძლეოსნები, რომლებმაც გდრ-ის ნაკრებს სძლიეს ანგარიშით — 192:175.

მაგრამ ერთი წლის მერე კვლავ კარლ-მარქს-შტადტში მასპინძლებმა დიდი უპირატესობით აიღეს რევანში — 218:161.

შემდეგში კიდევ ორ მატჩში ვილნიუსსა (1978 წ.) და ლაიფციგში (1979 წ.) ისევ გდრ-ის ათლეტებმა მიაღწიეს წარმატებას. მატჩების შედეგები იყო 196:182 და 196,5:183,5.

შარშან, მოსკოვის ოლიმპიადის წელს მატჩი არ გამართულა.

როგორ დამთავრდება ევროპის „გიგანტთა“ 1981 წლის მატჩი თბილისში ამას 27 ივნისის საღამოს შევიტყობთ, როცა ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე 19 საათსა და 20 წუთზე გამოცხადდება საბოლოო შედეგები.

ს უ რ ა თ ზ ე: გდრ-ის მძლეოსანთა და მწვრთნელთა ერთი ჯგუფი სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოში.

შეჯიბრების კალენდარი

პირველი დღე, 26 ივნისი

18.30	შეჯიბრების საზეიმო გახსნა	
19.00	100 მ. თარჯრბენი	ქალები
	სიგრძეზე ხტომა	ქალები
	ჭოკით ხტომა	ვაჟები
	შუბის ტყორცნა	ვაჟები
19.15	100 მ. რბენა	ქალები
19.20	100 მ. რბენა	ვაჟები
19.35	110 მ. თარჯრბენი	ვაჟები
19.50	400 მ. რბენა	ქალები
	ბადროს ტყორცნა	ქალები
19.55	400 მ. რბენა	ვაჟები
20.00	10 კმ. რბენა	ვაჟები
	ბირთვის კვრა	ვაჟები
20.35	1500 მ. რბენა	ქალები
20.45	1500 მ. რბენა	ვაჟები
20.55	ესტაფეტა 4X100	ქალები
21.00	ესტაფეტა 4X100	ვაჟები

მეორე დღე, 27 ივნისი

17.00	400 მ. თარჯრბენი	ქალები
	ბირთვის კვრა	ქალები
	სიგრძეზე ხტომა	ვაჟები
	სიმაღლეზე ხტომა	ვაჟები
	ბადროს ტყორცნა	ვაჟები
17.15	200 მ. რბენა	ქალები
17.20	200 მ. რბენა	ვაჟები
	უროს ტყორცნა	ვაჟები
17.35	400 მ. თარჯრბენი	ვაჟები
17.50	800 მ. რბენა	ქალები
17.55	800 მ. რბენა	ვაჟები
18.00	3000 მ. რბენა	ქალები
	შუბის ტყორცნა	ქალები
	სამხტომი	ვაჟები
18.10	სიმაღლეზე ხტომა	ქალები
18.15	3000 მ. წინაღობებით რბენა	ვაჟები
18.30	5000 მ. რბენა	ვაჟები
18.50	ესტაფეტა 4X400	ქალები
19.00	ესტაფეტა 4X400	ვაჟები
19.20	შეჯიბრების საზეიმო დახურვა.	

საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

●

ყოჩაღ, დავით!

მიუნხენში დამთავრდა მსოფლიო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში რკინიგზელ სპორტსმენთა შორის. 74 კგ წონით კატეგორიაში დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა **დავით ლატარიამ** („ლოკომოტივი“, მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **დ. დავითაია**). თბილისელმა ფალავანმა ყველა მეტოქე დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: დ. ლატარია.

● ●

თბილისელთა ნადავლი

ვენაში ყოველწლიურად ეწყობა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში.

ამჯერად ავსტრიის დედაქალაქში შესანიშნავად გამოვიდნენ **თბილისელი მოსწავლეები, პიონერთა სასახლის აღსაზრდელები მ. ნადიბაიძე და ი. ჟემჩუჟინა** (ორივე — „ბურევესტნიკი“). **მრავალჭიდში მათ შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.** პირველობა წილად ხვდა დ. ბოშანსკას (ჩეხოსლოვაკია).

„სპორტის დედოფლის“ რჩეულთა თავყრილობა
ახალ მიღწევებს გვპირდება

ერთად ვიხილავთ რეკორდებს

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა შეხვედრები ყველა სახეობაში მუდამ დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ ეს ინტერესი გაორკეცებულია მძლეოსნობაში, რადგან ახლა ევროპაში ფაქტიურად სწორედ ამ ორი ქვეყნის ნაკრებია უძლიერესი.

ჩვენი დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონს დიდი პატივი ხვდა წილად. სწორედ იგი მასპინძლობს „სპორტის დედოფლის“ ამ გრანდიოზულ დღესასწაულს.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალ ოლიმპიურ ციკლში ამ ორი სპორტული ქვეყნის მძლეოსანთა პირველ შეხვედრას, ნათლად ადასტურებს ის, რომ მატჩს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 105 მაღალი კვალიფიკაციის არბიტრი მოემსახურება. მათგან 35 მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებში მსაჯობდა.

ტურნირის ორგანიზატორები, სტადიონის დირექცია ყველა თბილისელს, დედაქალაქის სტუმრებს, რომლებსაც უყვართ მძლეოსნობა, იწვევენ სსრ კავშირ-გდრ-ის მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩზე. ვფიქრობთ, ჩვენთან ერთად თქვენც გახდებით ახალი რეკორდების მოწმენი, ძვირფასო თბილისელებო!

ა. სტეპანოვი,
შეჯიბრების ხელმძღვანელი, სსრ კავშირის საპატიო მსაჯი.

ვინ უფრო შორს გადახტება?

თბილისელი სპორტის მოყვარულები დიდი მატჩის მოლოდინში არიან — დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირისა და გდრ-ის ტრადიციული მატჩი მძლეოსნობაში.

ქალაქის ქუჩებში გაკრული ლამაზი აფიშები მძლეოსნობის მოყვარულებს სწორედ ამ საინტერესო სპორტულ სანახაობაზე ეპატიჟება. სტუმრების მისაღებად განსაკუთრებით გულმოდგინედ მოემზადნენ სასტუმრო „აფხაზეთისა“ და „აჭარის“ ადმინისტრაცია. „აჭარელები“ გდრ-ის მძლეოსნებს მასპინძლობენ, ხოლო სასტუმრო „აფხაზეთში“ კი, უკვე მერამდენე დღეა ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრები, რომლებიც „დინამოს“ სტადიონზე დილა-საღამოს ინტენსიურად ვარჯიშობენ.

„...სალამი სსრ კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა მატჩის მონაწილეებს!“ — ვკითხულობთ სასტუმროს შესასვლელთან. მე-2 სართულზე მოთავსებულ შტაბში გვაცნობენ გუნდისთვის შემუშავებულ კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა გეგმას (ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, სპორტულ ნაგებობათა გაცნობა, ვიზიტი ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში“, კინოფილმების ჩვენება...), გვაჩვენებენ მატჩისათვის სპეციალურად გამოშვებულ კედლის გაზეთ „ოლიმპიელს“. „დიდი მეგობარი ქვეყნის ეს მატჩი იყოს არა მარტო მძლეოსნური სეზონის მშვენება, არამედ ყველა სპორტსმენის, ყველა გულშემატკივრის, ყველა თბილისელის დიდი ზეიმი. — ვკითხულობთ ერთ-ერთ წერილში — წარმატებებსა და ახალ რეკორდებს გისურვებთ სპორტული საქართველოს მთავარ სტადიონზე!“

რეკორდებს ჩვენც ველოდებით და, ცხადია, ისინიც, ვინც სასტუმროს ვესტიბიულში შემოგვხვდა. უმალვე შევნიშნეთ ძველი ნაცნობები, ახლო წარსულში „სპორტის დედოფლის“ სახელმოხვეჭილი რაინდები — **იანის ლუსისი, ვიტოლდ კრეერი, კეტუნის შმკა, ნიკოლი პოლიტიკო, იგორ ტერ-ოვანესიანი...**

ერთ მათგანს, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ბრინჯაოს პრიზიორს, ევროპის სამგზის და სსრ კავშირის 15-გზის ჩემპიონს, მსოფლიოს ექსრეკორდსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს **იგორ ტერ-ოვანესიანს** (იგი ამჟამად საკავშირო ნაკრების უფროსი მწვრთნელია სიგრძეზე ხტომაში) ვთხოვეთ თავისი აზრი გამოეთქვა მომავალ მატჩზე.

— სსრ კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა შეხვედრა მძლეოსნური სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენაა და იგი სპორტის მოყვარულთა, სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს. გდრ-ის მხტომელები, ვაჟებიცა და ქალებიც, მსოფლიოში უძლიერესთა რიგებში არიან. გავიხსენოთ თუნდაც ოლიმპიური ჩემპიონი ლ. დომბროვსკი. მან დაუთმო ევროპის რეკორდიც (8 მეტრი და 53 სანტიმეტრი). ლ. დომბროვსკი ბევრით არ ჩამოუვარდება 20 წლის ამერიკელ კ. ლუისს და მასთან ერთად ახლა ტონს აძლევს ყველა დიდ შეჯიბრებას. ლუისი კი, მოგეხსენებათ, მეორე ჯესი ოუენსია. თვითონ განსაჯეთ: აშშ-ის ახალმა ჩემპიონმა ამასწინათ 100 მეტრი 9,99 წამში გაირბინა, ხოლო სიგრძეზე ხტომაში 8,73 მეტრი აჩვენა. აგებ სწორედ მან უწერია ლეგენდარული ბ. ბიმონის ფანტასტიკური რეკორდის (8,90) გაუმჯობესება!

სტუმართა გუნდში ქალთა შორის გამოირჩევა ა. ნოიბერტი. მან მიმდინარე სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა (6,83). აქვე უნდა ითქვას, რომ გდრ-ის რეკორდი, რომელიც გასულ წელს დამყარდა, ეკუთვნის ბ. ვუიაკს — 7,04, ხოლო ამ ტრადიციული მატჩების უმაღლესი მიღწევა გახლავთ 6,82 (ა. ფოიგტი, 1976 წელს).

საბჭოთა ნაკრებში ვაჟთა შორის ისპარეზებენ დნეპროპეტროვსკელი ი. სამარინი და ვოლგოგრადელი ვ. ცეპელევი. ორივეს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აქვს — 7,96 მეტრი.

ქალთაგან ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ვოროშილოვგრადელი ტ. სკაჩკო (7.01) და მისი თანაქალაქელი — ახალგაზრდა ს. ვანიუშინა (6.59).

ერთი სიტყვით, სიგრძეზე ხტომის სექტორში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა და, ალბათ ბრძოლა საინტერესო და მწვავე იქნება, რასაც, ვიმედოვნებ, რეკორდებიც მოჰყვება.

ო. ნოზაძე.

კალეიდოსკოპი

სისწრაფეც არის და სისწრაფეც

მძლეოსნობაში ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული რეკორდი ეკუთვნოდა ზანგ სპრინტერს ჯ. ოუენსს, რომელმაც თავის დროზე 100 მეტრი 10,2 წამში გაირბინა. ამ მიღწევამ 20 წელს, 1 თვესა და 14 დღეს გაძლო, მანამ, ვიდრე 1956 წლის 3 აგვისტოს ამერიკელმა ვ. უილიამსმა არ გააუმჯობესა იგი. აღფრთოვანებული უილიამსი სტადიონიდან საკუთარი მანქანით გადამეტებული სისწრაფით მიემგზავრებოდა შინისაკენ. წესის დამრღვევი მაშინვე შეაჩერა პოლიციელმა და უსაყვედურა: „რატომ ჩქარობ? ვის სჭირდება შენი სისწრაფე?“

„თქვენ პირველი ადამიანი ხართ, რომელიც აჩქარებისთვის მსაყვედურობთ“, მიუგო იმდროისთვის მსოფლიოში ყველაზე სწრაფმა ადამიანმა.

რეკორდსა და რეკორდსმენზე

რომელმა სპორტულმა რეკორდმა გაძლო ყველაზე დიდხანს? პირველობა ჯერჯერობით რჩება ამერიკელ ჯ. ოუენსის მსოფლიო რეკორდს სიგრძეზე ხტომაში. 1935 წლის 25 მაისს ამ ზანგმა ათლეტმა 813 სმ „იფრინა“. რეკორდი ხელუხლებელი იყო 25 წლის 2 თვისა და 18 დღის მანძილზე და მხოლოდ 1960 წლის 13 აგვისტოს დაამხო ზანგმა რ. ბოსტონმა, რომელმაც თანამემამულის მიღწევას 8 სმ მოუმატა. ამჟამად ამ სახეობაში მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის ბ. ბიმონს, რომელმაც მეხიკოს 1968 წლის თამაშებში „საუკუნის ნახტომი“ (890 სმ) შეასრულა.

პირველად თბილისში

ინტერვიუ

გუშინ დილას სსრ კავშირ-გდრ-ის მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს დედაქალაქში ჩამოფრინდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია 88 კაცის შემადგენლობით.

ჩვენი კორესპონდენტი **ალა ზენკო** ესაუბრა გდრ-ის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ვერნერ ტრეძენბერგს.**

● **ბატონო ვერნერ, თქვენ ალბათ მგზავრობის შემდეგ დაღლილი ბრძანდებით, მაგრამ იქნებ ცოტა რამ უთხრათ ჩვენი გაზეთის მკითხველებს.**

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ დრო ცოტა გვაქვს, ჩვენი დელეგაცია მიწვეულია ქალაქის მერთან და სადაცაა უნდა წავიდეთ.

● **მერამდენედ ჩამობრძანდით საბჭოთა კავშირში?**

— მრავალჯერ. საქართველოში კი პირველად ვარ. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მომეცა შესაძლებლობა ჩამოვსულიყავი ჩვენი დროის გამოჩენილი სპორტსმენის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის სამშობლოში.

● **რა მნიშვნელობას ანიჭებთ სსრ კავშირ — გდრ-ის, ამ ორი უძლიერესი მძლეოსნური სახელმწიფოს უკვე ტრადიციად ქცეულ მატჩს?**

— ყოველთვის დიდი მონდომებით ვემზადებით საბჭოთა მძლეოსნებთან შესახვედრად. ამიტომ გდრ-ის ყველა სპორტსმენისათვის დიდი პატივია მონაწილეობა მიიღოს მატჩში, რომელიც უეჭველად უწყობს ხელს მეგობრობის განმტკიცებას, გამოცდილების გაზიარებას, სპორტსმენთა ოსტატობის სრულყოფას, სპორტული კავშირის განვითარებას ამ ორ ქვეყანას შორის. ამ მატჩს სპორტის ისტორიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომაც, რომ აქ არაერთგზის დამყარებულა ეროვნული, ევროპული და მსოფლიო რეკორდები. ეს შეჯიბრებები ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოცდაა ყოველი ოლიმპიადის წინ. დიდი ხანია, რაც მეგობარ-მეტოქეები და უმაღლესი ჯილდოების ძირითადი კონკურენტები, სსრ კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა გუნდები ამ შეჯიბრებაში ამოწმებენ თავიანთ მზადყოფნას მორიგი სტარტებისთვის.

● **1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილე რომელ გერმანელ მძლეოსანს იხილავენ თბილისელი სპორტის მოყვარულები?**

— ამჟამინდელ მატჩში მონაწილეობას მიიღებს 64 გერმანელი მძლეოსანი, რომელთა შორის არიან არა მარტო მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილეები და პრიზიორები, არამედ ჩემპიონებიც. მაგალითად: ვაკალი (200 მ რბენა და 4X100 ესტაფეტა), გიორი (4X100 ესტაფეტა), კოხი (400 მ რბენა), სლუპიანეკი (ბირთვის კვრა), ბილი (ბადროს ტყორცნა), მუნკელტი (100 მ თარჯრბენი) და სხვ. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ახალგაზრდა სპორტსმენთა გამოსვლებს.

● **როგორია მატჩის თქვენეული პროგნოზი?**

— ვიმედოვნებთ, რომ შეჯიბრება საინტერესო იქნება, გამარჯვებულებს დაძაბული სპორტული ბრძოლა გამოავლენს. გამორიცხული არ არის, ახალი რეკორდებიც დამყარდება, ძალთა ეს მეგობრული დათვალიერება სპეციალისტების დიდ ინტერესს იწვევს. იგი ხომ ახალი ოლიმპიური ციკლის პირველი მატჩია ჩვენი ქვეყნების სპორტსმენთა შორის.

● **როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება?**

— ვიცით, რომ თბილისი თქვენი ქვეყნის დიდი ინდუსტრიული, სამრეწველო, კულტურული და სპორტული ცენტრია. ჩვენ დიდი ინტერესით დავათვალიერებთ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, შთაბეჭდილებებზე საუბარი კი შემდეგი შეხვედრისთვის გადავდოთ. სამწუხაროდ, უამინდობის გამო ჩამოსვლა დაგვიგვიანდა და გული დაგვწყდა, რომ ვერ დავესწარით ფეხბურთის მატჩს, რათა გვენახა ევროპის უძლიერესი გუნდის, თქვენი „დინამოს“ თამაში...

სტუმრად წასვლის დროც მოვიდა და ჩვენი საუბარიც აქ შეწყდა.

ალბომი „დინამოს“ სტადიონზე

დასასრული

სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულები, რომელთაც ერთი დავასახელოთ: ნინო დუმბაძე და რაფაელ ჩიმიშკიანი, ბორის პაიჭაძე და ბორის დიაჩკოვი, რობერტ შავლაყაძე და ჯიბილო ნიჟარაძე, გივი ჩოხელი და ვახტანგ ჭელიძე, ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილები, გივი ყვარელაშვილი და ნიკოლოზ მუზაშვილი, პეტრე რუბეჟანსკი, გურამ ფაღიძე, თემურ ლაკია, გიორგი გამზარდია... დღეს ბევრი მათგანი შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს. სწორედ მათ, ამ შესანიშნავმა ათლეტებმა ჩაუყარეს საფუძველი და განავითარეს სახელოვანი დინამოური ტრადიციები, დაიმკვიდრეს მრავალი სპორტული მწვერვალი ქართული და საბჭოთა სპორტის სადიდებლად.

ყველა თაობის დინამოელთა სახელით გამოდის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ სანეევი. იგი შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს ულოცავს სახელოვან [illegible] საბჭოთა საქართველოს [illegible] წლის თავს.

მხატვრული ტანვარჯიშის სკოლის აღსაზრდელები ცოცხალი ყვავილების თაიგულებს გადასცემენ სპორტის ვეტერანებს...

დაჯილდოება

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში გაწეული აქტიური დახმარებისთვის, საქართველოს სსრ მილიციის 60 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა საპატიო სიგელით და სიგელებით დააჯილდოვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა დიდი ჯგუფი. მათ შორის:

საპატიო სიგელით დაჯილდოვდა **გ. გვეტაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

სიგელებით დაჯილდოვდნენ: **შ. გორგოძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, რესპუბლიკის კრივის ფედერაციის თავმჯდომარე, **ი. კლიმოვი** — აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, აფხაზეთის „დინამოს“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, **ჯ. მიქელაძე** — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, აჭარის „დინამოს“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, **გ. კვანტალიანი** — თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, **დ. მიქაძე** და **გ. ხიცელიშვილი** — თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილეები, **ვ. ჩხიკვიშვილი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი, **გ. ხალვაშიძე** — ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, ქუთაისის „დინამოს“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, **გ. ჯახუტაშვილი** — თბილისის შსს კიროვის სახ. რაიონის განყოფილების უფროსი, **თ. ცქიტიშვილი** — თბილისის შსს ორჯონიკიძის სახ. რაიგანყოფილების უფროსი, **ჯ. ხორბალაძე** — თბილისის შსს 26 კომისრის სახ. რაიგანყოფილების უფროსი, **ნ. ცაგარეიშვილი** — ამავე განყოფილების საპასპორტო მაგიდის უფროსი, **გ. ცინცაძე** — თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი, **ბ. ჯანჯღავა** და **გ. ჭუღელი** — თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილეები, **ი. ზაზაძე** — მილიციის რიგოსანი და სხვები.

ახმანედი ჭაბუკი

იდგა 1968 წელი...

იმ დღეს ყურმილის დადებას ვერ ასწრებდა 22 წლის ახმეტელი ჭაბუკი შენგელი ფიცხელაური. მოსკოვიდან ახლადდაბრუნებული დაღლილი იყო, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდა — გულშემატკივრები ბოლოთადად ულოცავდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას ჭიდაობა სამბოში.

სწორედ იმ წელს დაიწყო ნიჭიერმა სპორტსმენმა ტრიუმფალური სვლა სპორტის მწვერვალებისაკენ და მალე მეორე ოქროს მედლის მფლობელი გახდა, ამჯერად ძიუდოში.

აბა, როგორ წარმოიდგენდა, რომ ახმაში გატარებული ბავშვობის მერე მოსკოვში, ტოკიოში, ლონდონში, მადრიდში, ლოზანაში, ბერლინში, პრაღასა და მსოფლიოს მრავალ ქალაქში ასე სიამაყით აღიმართებოდა გამარჯვების კვარცხლბეკზე და დიდებას მოუტანდა ქართულ სპორტს.

გამარჯვებები, მედლები, პრიზები... ყოველივე ეს ადვილად როდი მოსულა. საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობამ, სპორტისადმი უსაზღვრო სიყვარულმა, თავდადებულმა შრომამ ჩააყენა იგი მოწინავეთა რიგებში და თვალსაჩინო სპორტსმენად აქცია.

— ხალიჩაზე ფიცხელაური! — აცხადებდა დიქტორი და კარგა ხანს მისი ტიტულების ჩამოთვლას ანდომებდა ხოლმე — სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი სამბოში, საბჭოთა კავშირისა და იაპონიის მოჭიდავეთა ფესტივალის გამარჯვებული ძიუდოში, ევროპის ორგზის ჩემპიონი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატების ოქროს მედლების მფლობელი, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სამბოსა და ძიუდოში.

როგორც მოჭიდავემ, შენგელმა მშობლიურ სოფელში აიდგა ფეხი, შემდეგ თბილისში გააგრძელა ინტენსიური წვრთნა ცნობილი მწვრთნელების შოთა ხუციშვილისა და ბიძინა მაზიაშვილის ხელმძღვანელობით.

ცხოვრების დიდ გზაზე ადამიანს ყოველთვის ჰყავს თავისი ერთგული მრჩეველი და აღმზრდელი. სწორედ ასეთები იყვნენ შოთა და ბიძინა, რომლებმაც სპორტისადმი სიყვარული გაუორკეცეს.

— ამ კეთილშობილი ადამიანების ვალში ვარ, — ამბობს შენგელი, — მაგრამ, როგორც სპორტსმენს, უფლება არა მაქვს სიყვარულით არ მოვიგონო საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ ანდრეევი, რომელმაც სპორტის დიდ სარბიელზე გამიყვანა...

მთელი ათეული წელიწადი საბჭოთა სპორტის სახელის სადარაჯოზე იდგა შენგელი ფიცხელაური, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი წარმატებით დაამთავრა, შემდეგ იურიდიული განათლებაც მიიღო და როცა 1976 წელს სპორტის სასახლიდან საზეიმოდ გააცილეს და დიდ სპორტს დაემშვიდობა, უყოყმანოდ დადგა კანონიერების, მშობლიური ხალხის მყუდროების სადარაჯოზე.

სპორტი ბრძოლაა, სადაც ძლიერება და გონიერება, მოხერხებულობა და სისწრაფე იმარჯვებს. საზოგადოების მყუდროების სადარაჯოზე დგომაც ბრძოლაა, ბოროტების, ხორცმეტების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა და აქაც გონიერება და მოხერხებულობა იმარჯვებს.

დღეს წარსულში სახელმოხვეჭილი სპორტსმენი სათავეში უდგას შინაგან საქმეთა კიროვის რაიგანყოფილების საგამომძიებლო ქვეგანყოფილებას და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს კოლექტივის წარმატებაში.

მოკრძალებული წვლილით, ვამბობთ, თორემ ჩეკისტისათვის ადვილი მისახვედრია, რაოდენ შრომას მოითხოვს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, დამნაშავეების ბოლომდე მხილება.

ძნელია, მაგრამ საქმისადმი სიყვარული, გულმოდგინება თავისას აკეთებს და დღეს ქართველ ჩეკისტთა შორის ერთ-ერთ საუკეთესო წევრად ითვლება მილიციის უფროსი ლეიტენანტი შენგელი ფიცხელაური.

ვ. ბვაჭაბია.

სურათზე: შ. ფიცხელაური.

მაღალ მედლებს ველით

...„დინამოს“ სტადიონის სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები სპორტსმენებს და მწვრთნელებს დაეკავებინათ. მათი საქმიანობა შეჯიბრებას არ ჰგავდა — მოკლე გარბენებს თან ახლდა აღმზრდელთა კომენტარები — მწვრთნელები იწონებდნენ ან იწუნებდნენ აღსაზრდელთა ნაწვალს, გარბენს, ფინიშს.

სპრინტერთა ჯგუფის წევრები განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდნენ. ისინი ძირითადად 100-მეტრიან ზოლში მეცადინეობდნენ: ვინ სტარტს იმეორებდა, ვინ აჩქარებაზე მუშაობდა... საინტერესო და სახალისო სანახავი იყო, ბილიკებზე სხვადასხვა მიმართულებით მორბენალი ქალები და მამაკაცები [illegible] შემთხვევაში ერთმანეთს რომ უწყობდნენ მოძრაობას. უფროსი მწვრთნელი ვ. მასლაკოვი გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ჯგუფების საქმიანობას.

აქ ერთად მოეყარათ თავი 100, 200, 400 მეტრზე მორბენლებს, 100, 110 და 400 მეტრზე თარჯრბენის ოსტატებს და მატჩამდე დარჩენილ დროს მაქსიმალურად იყენებდნენ. მათ ჩვენს დედაქალაქშიც ბევრი რამ აქვთ სანახავი, ბევრი ხომ პირველადაა თბილისში.

ვისარგებლეთ ხანმოკლე შესვენებით და ვესაუბრეთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, 100 მეტრზე თარჯრბენში ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორს, მ. კემენჩეს, სპრინტერების ნაკრების უფროსს ი. ზელენცოვს, მთავარ მწვრთნელს ვ. მასლაკოვს...

ი. ზელენცოვი: სპრინტერთა ჯგუფში, რომელიც გდრ-ის ნაკრებთან მატჩისა და წლევანდელი სეზონის სხვა დიდი შეჯიბრებისთვის ემზადებოდა, 31-მდე სპორტსმენია. სწორედ ისინი, რომლებმაც წლევანდელი ზამთრისა და ღია სტადიონებზე ჩატარებულ შეჯიბრებებში გამოიჩინეს თავი...

— ცნობილი სპორტსმენებიდან ვის დაასახელებთ?

— თქვენ ალბათ მოსკოვის ოლიმპიადის პრიზიორები გაინტერესებთ. 26 და 27 ივნისს თბილისის სტადიონზე მაყურებლები იხილავენ XXII თამაშების ჩემპიონებს ალექსანდრე აქსინინს, ვლადიმერ მურავიოვს, მარინა სიდოროვას, ირინა ნაზაროვას, ტატიანა პროშჩიკს, ვერცხლის მედალოსნებს ნატალია ბოჩინას, ვასილი არხიპენკოს... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

— დებიუტანტები თუ არიან ნაკრებში?

— რა თქმა უნდა. განსაკუთრებით აღვნიშნავ სპრინტერებით ოლგა ნასონოვას (ირკუტსკიდან) და თარჯმორბენალ გიორგი შაბანოვს (ფსკოვიდან)...

მ. კემენჩე: ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია თუ ვისთან მომიწევს ბრძოლა სარბენ ბილიკზე. მაგრამ ჩვენი მეტოქენი, რომლებიც მსოფლიოში ტოლს არავის უდებენ და 100 მეტრზე თარჯრბენში თვალსაჩინო წარმატებებიც აქვთ, თბილისში უდავოდ საუკეთესო ძალებით ჩამოვიდნენ. ვფიქრობ, ყველა სახეობაში უშეღავათო ბრძოლების მომსწრენი გავხდებით. რაც შემეხება მე, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ...

ვ. მასლაკოვი: პრაქტიკამ მრავალგზის დაგვიმტკიცა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსნები საპასუხისმგებლო სტარტებისთვის მუდამ შესანიშნავად ემზადებიან. ჩვენი არ იყოს, ისინიც ორი ქვეყნის ნაკრებთა მატჩს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს დაადასტურა კიდეც ამასწინათ დრეზდენსა და პოტსდამში ჩატარებულმა რიგმა შეჯიბრებამ მძლეოსნობაში. გერმანელმა სპორტსმენებმა უმეტეს სახეობებში საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს. ერთი სიტყვით, მეგობრობის მორიგი ტრადიციული შეხვედრა ბევრ მაღალ შედეგს გვპირდება...

სტუმრებს ესაუბრა
ო. გელაშვილი.

გდრ-ის სპორტსმენებმა და სპეციალისტებმა კარგად ისარგებლეს მატჩამდე დარჩენილი თავისუფალი დროით და ქალაქში გაისეირნეს.

● ●

სურათზე: „დინამოს“ სტადიონზე ვარჯიშობს ოლიმპიელი ჭოკით მხტომელი ს. კულიბაბა, რომელიც მატჩში სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას დაიცავს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

მატჩების მიღწევები

სახეობა	რეკორდსმენი	დამყარების შედეგი	წელი
	ქალები		
100 მ.	მ. გიორი (გდრ)	11,1	1979
200 მ.	ლ. კონდრატიევა (სსრკ)	22,46	1979
400 მ.	მ. კოხი (გდრ)	50,61	1977
800 მ.	ა. ვეისი (გდრ)	1.56,81	1976
1500 მ.	უ. ბრაუნსი (გდრ)	4.02,83	1978
3000 მ.	რ. კატიუკოვა (სსრკ)	8.45,46	1976
თარჯრბენი 100 მ.	ჯ. ბერენდი (გდრ)	12,8	1976
	ტ. ანისიმოვა (სსრკ)	12,8	1979
400 მ.	მ. მაკეევა (სსრკ)	55,64	1979
4X100 მ.	გდრ	42,37	1979
4X400 მ.	გდრ	3.22,8	1979
სიმაღლე	რ. აკერმანი (გდრ)	195	1978
სიგრძე	ა. ფოიგტი (გდრ)	682	1976
ბადრო	ფ. მელნიკი (სსრკ)	70,34	1978
შუბი	რ. ფუქსი (გდრ)	67,66	1977
ბირთვი	მ. ადამი (გდრ)	21,86	1978
	ვაჟები		
100 მ.	ე. რაი (გდრ)	10,14	1977
200 მ.	ე. რაი (გდრ)	20,67	1977
400 მ.	ი. უტიკალი (გდრ)	45,98	1977
800 მ.	ი. ივანოვი (სსრკ)	1.46,0	1971
1500 მ.	ი. შტრაუბი (გდრ)	3.37,7	1978
5000 მ.	ი. პეტერი (გდრ)	13.33,32	1976
10000 მ.	ი. სელიკი (სსრკ)	27.58,8	1978
თარჯრბენი 110 მ.	თ. მუნკელტი (გდრ)	13,56	1977
400 მ.	ფ. ბეკი (გდრ)	49,05	1977
3000 მ. წინაღობებით	ფ. ბაუმგარტლი (გდრ)	8.23,29	1976
4X100 მ.	გდრ	38,82	1979
4X400 მ.	გდრ	3.04,3	1979
20 კმ სიარ.	რ. ვიზერი (გდრ)	1:21.21,3	1979
სიმაღლე	რ. ბაილშმიდტი (გდრ)	229	1979
სიგრძე	ა. ხლოპოტნოვი (სსრკ)	811	1968
ჭოკით	ვ. ტროფიმენკო (სსრკ)	561	1978
სამხტომი	ა. კისაულინი (სსრკ)	17,07	1968
ბადრო	ვ. შმიდტი (გდრ)	66,84	1977
შუბი	ვ. ჰანიში (გდრ)	89,80	1979
ურო	ს. ლიტვინოვი (სსრკ)	79,82	1979
ბირთვი	უ. ბეიერი (გდრ)	21,46	1977

სსრ კავშირ — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მორიგი მატჩის მონაწილე საბჭოთა ათლეტების უკანასკნელი ჯგუფი ჩვენს დედაქალაქს სტარტამდე რამდენიმე საათით ადრე ეწვია. ფოტოზე სწორედ ისინი არიან აღბეჭდილნი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მთავარ მსაჯთა კოლეგია

მატჩის ხელმძღვანელი — სსრკ საპატიო მსაჯი ა. ვ. სტეპანოვი (თბილისი),

მთავარი მდივანი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. კ. ჟვანია (თბილისი),

მთავარი მსაჯი რბენაში — სსრკ საპატიო მსაჯი ა. ვ. ხოდაკინი (ოდესა),

მთავარი მსაჯი ხტომებში — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. დ. ხუციშვილი (თბილისი),

მთავარი მსაჯი ტყორცნებში — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. ი. ხიდეშელი (თბილისი),

ინფორმაციის სამსახურის ხელმძღვანელი — ჟურნალ „ლეგკაია ატლეტიკას“ განყოფილების რედაქტორი ე. ბ. ჩენი (მოსკოვი),

კადრების სამსახურის ხელმძღვანელი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. ბ. გეგონდოვი (თბილისი),

ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი თ. პ. მაისურაძე (თბილისი).

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ყიფიანის სამი პასი...

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 24 ივნისი.

„დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი) 3:1 (1:0).

„დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარახველია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„არარატი": ანტონიანი, პეტროსიანი, მხითარიანი, რაფ. გალუსტიანი, მოვსესიანი, პოლოსიანი, ბონდარენკო, ოჰანესიანი, ხაჩატრიანი (აირბაბამიანი), მელიქიანი, რობ. გალუსტიანი.

მსაჯი ა. კადეტოვი (მოსკოვი).

მაყურებელი — 60.000.

კუთხურიდან მოწოდებული ბურთი სახიფათოდ ითვლება, ამიტომ დაცვაზე მყოფი გუნდი ყოველთვის ცდილობს არ გაუშვას ბურთი პირით ხაზს იქით. განვლილი მატჩის პირველი 15 წუთის მანძილზე თბილისელებმა სხვადასხვა ფლანგიდან ზედიზედ რამდენიმე კუთხური მოაწოდეს „არარატის" კართან, მაგრამ არც ერთ მათგანს რამდენადმე მაინც სერიოზული უსიამოვნება არ მიუყენებია მეკარე ანტონიანისთვის, იგი თავისი სიმაღლის წყალობით, იოლად ეუფლებოდა ბურთს, სხვა შემთხვევებში კი მას მცველები იგერიებდნენ.

მაგრამ 75-ე წუთზე ყიფიანმა სულ სხვაგვარად შეასრულა კუთხური მოწოდება: მის წინ ორი არარატელი მცველი იდგა, კარის ხაზის გასწვრივ კი, ოდნავ მოშორებით — გუცაევი. ყიფიანმა თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი მცველებს, გუცაევმა მიიღო იგი, დრიბლინგით შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და უძლიერესი დარტყმით მესამე ბურთი გაიტანა ერევნელთა კარში.

ყველაფერი ეს შესრულდა ერთ მთლიანობაში, სწრაფად, მეტოქისთვის მოულოდნელად და, ამდენად, მით უფრო ღირსშესანიშნავი, დასამახსოვრებელია იგი. აღნიშნული ეპიზოდი ტექნიკური და ტაქტიკური თვალსაზრისით თბილისელ ფეხბურთელთა მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს და რახან მათ ასეთი ვირტუოზობით შეუძლიათ მსგავსი მანიპულაციების შესრულება, ისღა შეგვიძლია ვისურვოთ, რომ ნაკლებად მიმართონ ტრაფარეტულ, შაბლონურ სვლებს, უფრო ხშირად და ეფექტიანად გამოიყენონ ამგვარი ორიგინალური, მახვილგონივრული კომბინაციები.

როცა ვლაპარაკობთ ყიფიანის სამ პასზე, მხედველობაში გვაქვს არა თბილისელთა მთავარი დისპეტჩერის სხვა გადაცემები ამ მატჩში, არამედ კონკრეტულად ის სამი პასი, რომელთა შედეგად დინამოელებმა სამჯერ აიღეს „არარატის" კარი: მე-18 წუთზე ყიფიანი მარჯვნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, ძლიერად დაარტყა, ანტონიანმა მოიგერია ბურთი, მაგრამ მას მიუსწრო შენგელიამ — 1:0. 70-ე წუთზე ყიფიანმა მარცხენა ფრთაზე ერთობ ძნელ ვითარებაში შეინარჩუნა ბურთი რამდენიმე ერევნელ მცველთან ბრძოლაში, წამით განთავისუფლდა და ზუსტად გადააწოდა ცენტრში შენგელიას, რომელმაც ასევე შეუცდომლად გააკეთა თავისი საქმე — 2:0. რაც შეეხება მესამე გოლს, ამაზე უკვე ვისაუბრეთ.

სტუმრებმა მატჩის დასაწყისში დაცვითი ტაქტიკას მიმართეს, 5-6 მცველი, იყო ეს საჭირო, თუ არა, მაინც მორიგეობდა თავის საჯარიმო მოედანზე და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დინამოელებმა ანგარიში გახსნეს და ღრმა ზურგში,ყოფნა „არარატს" ფაქტიურად ალაფერს აძლევდა, იგი დაიძრა წინ, მაგრამ გუნდი თამაშობდა მოკლე, ხშირი, განივი გადაცემებით, სისტემატურად ფერხდებოდა შუა მინდორში, სულ ერთთავად თავისი ლიდერის — ოჰანესიანის ძებნაში იყო ბურთის გადასაცემად და ხიფათს ნაკლებად ქმნიდა მოპირდაპირე კართან. ერთადერთი გოლი, რომელიც მხითარიანმა გაიტანა 86-ე წუთზე, მასპინძელთა დაცვის შეცდომის შედეგი უფრო იყო, ვიდრე ამ ფორვარდის დამსახურება. სულ ადვილად შეგვეძლო ეს გოლი არ გაგვეშვა, არ გაგვეუარესებინა ბალანსი და დიდი ანგარიშით მოგებაც ჩაგვეწერა აქტივში, მით უმეტეს, რომ ბოლო წუთებზე შენგელიას ორჯერ ზედიზედ მიეცა ანტონიანის კარის აღების რეალური შესაძლებლობა, მან კი ორივეჯერ მეკარეს მოახვედრა ბურთი.

თბილისის „დინამომ" ამ მატჩში ცხადყო, რომ იგი კვლავ შედის თავის საბრძოლო ფორმაში. გუნდი მობილურია, ნებისყოფიანი, ბრძოლისუნარიანი, წამყვანი მოთამაშეები ტონს აძლევენ მთელს კოლექტივს და, ვფიქრობთ, იგი ღირსეულად შეინარჩუნებს წამყვან პოზიციებს. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა მაშინ, როცა მეორე წრის დასაწყისში დინამოელებს ზედიზედ 7 გასვლითი მატჩი აქვთ ჩასატარებელი ერევანში, მინსკში, ლენინგრადში, მოსკოვში, ტაშკენტში, ალმა-ათაში...

ბ. ქორქია.

* * *

სურათზე: დ. ყიფიანის მორიგი შეტევა.

ვ. გენგიურის ფოტო.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ.	17	12	5	0	25—8	29
„სპარტაკი"	16	10	2	4	32—17	22
„დინ." თბ.	17	8	5	4	28—15	21
„ტორპედო"	17	8	4	5	18—14	20
„ქაირათი"	17	6	7	4	23—19	19
„დინ." მ.	17	7	4	6	21—18	18
ცსკა	17	7	4	6	21—19	18
„ტავრია"	17	6	4	7	15—18	16
„ყუბანი"	17	6	4	7	18—16	16
„ნეფთჩი"	17	4	8	5	14—20	16
„დინ." მნ.	16	5	5	6	14—15	15
„არარატი"	17	5	5	7	16—22	15
„შახტიორი"	16	4	7	5	17—16	15
„ჩერნომ."	17	5	4	8	16—24	14
„ზენიტი"	17	5	4	8	16—21	14
„დნეპრი"	17	4	4	9	19—33	12
ასკ რ.	15	3	6	6	15—23	12
„ფახთაქ."	16	3	2	11	15—25	8

● ჭადრაკი

თავმოსაწონი ენდშპილი

მოსკოვი, 25 ივნისი (დეპეშით, „ლელოს" სპეც. კორ.). დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა ღია ჩემპიონატში გუშინწინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, რომელმაც ნათელი მოჰფინა ლიდერთა მდგომარეობას. 14 ტურის შემდეგ ბ. გულკოს — 10 ქულა აქვს, ლ. ფსახისს — 9,5, ს. მაკარიჩევს, ა. იუსუპოვს — 8,5-8,5, ა. ვიჟმანავინს — 8, ი. რაზუვაევს — 7,5, ს. გორელოვს — 7 (1), მ. ჩიბურდანიძეს, დ. ბრონშტეინს, ა. კრემენეცკის, ა. სოკოლოვს, ა. სუეტინს — 7-7, რ. ვაჰანიანს — 6,5, ე. ვასიუკოვს — 6, ა. პანჩენკოს — 5 და ა. შ.

გთავაზობთ მაია ჩიბურდანიძის შესანიშნავ პარტიას დიდოსტატ ე. ვასიუკოვთან (მოსკოვი) იმ პოზიციიდან, რომელშიც ბრძოლა უკიდურესობამდე დაიძაბა. ორივე მეტოქემ გამსვლელი პაიკები შექმნა, მაგრამ მაიამ გონებამახვილური თამაშით გამოიყენა თავისი ფიგურების აქტიური განლაგება და გაიმარჯვა.

ჩიბურდანიძე



ვასიუკოვი

ეს პოზიცია შეიქმნა ვასიუკოვის 32-ე სვლის შემდეგ. თამაში ასე გაგრძელდა:

32. ...ეe1+ 33. მფc2 ეh1 34. ეd7 ეXh3 35. ეXb7 ეXf3 36. ეb8+ მფh7 37. ეe8 ეXf5 38. b4 h3 39. ეe2? კe5 40. b5 h2! 41. ეe1 aXb5! (ჩაწერილი სვლა) 42. a6 ეf3! 43. cXb5 ეc3+ 44. მფd2 ეa3 45. ეh1 ეa1! 46. ეXh2 კXh2 47. a7 g5 48. კd4 ეa4 49. მფc3 კe5! 50. კXe5 ეXa7 51. მფc4 მფg6 52. b7 ეb7 53. კc7 მფf5 54. მფd5 g4 55. მფc6 ეXb6+ 56. მფXb6 მფe4 57. მფc5 f5 58. მფc4 f4 59. მფc3 მფe3 60. მფc2 f3. ვასიუკოვი დანებდა. შავ პაიკებს ვერაფერი დააკავებს.

გ. ფამილიანტი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

გამარჯვება გაიყვეს

ლვოვში დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 6 ქვეყნის 14 ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

I-II ადგილები გაიყვეს მსოფლიოს ექსჩემპიონმა მ. ტალმა (რიგა) და დიდოსტატმა ო. რომანიშინმა (ლვოვი) — 9-9 ქულა. ტალმა ფინიშზე ზედიზედ ოთხი პარტია მოიგო, რომანიშინი მას მხოლოდ დასკვნით ტურში ი. დორფმანთან (ლვოვი) გამარჯვების შემდეგ დაეწია.

III ადგილი წილად ხვდა საერთაშორისო ოსტატ ა. პეტროსიანს (ერევანი) — 7,5. შემდეგ მოდიან საბჭოთა დიდოსტატები ი. დორფმანი, ნ. რაშკოვსკი — 7-7, სსრ კავშირის ჩემპიონი ა. ბელიავსკი, ვ. სავონი, საერთაშორისო ოსტატი კ. ლერნერი — 6,5-6,5 და სხვ.

ლიდერი არ შეცვლილა

ბუდაპეშტის ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში 8 ტურის შემდეგ ლიდერობას განაგრძობს მოსკოველი დიდოსტატი ე. ფათალიბეკოვა (6 ქულა და ერთი გადადებული პარტია).

ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან სსრ კავშირის ჩემპიონი ი. ლევიტინა, უნგრელი ჟ. ვერეცი და ბულგარელი ტ. ლემაჩკო, ოღონდ ამ უკანასკნელს კიდევ ერთი გადადებული პარტია აქვს.

ბელორუსიის ტელევიზიის პრიზზე

მინსკში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში ბელორუსიის ტელევიზიის პრიზზე. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო მასპინძელთა ნაკრების წევრი ვ. როგოვი — 5491 ქულა. მთავარი გუნდური პრიზი დაისაკუთრა უკრაინის ნაკრებმა — 15671, შემდეგ საპრიზო ადგილებზე შესაბამისად უნგრეთისა (15507) და მოსკოვის (15433) ხუთჭიდელები გავიდნენ.

ახალი მწვრთნელი

ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელთა კოლექტივს ახალი მწვრთნელი ჰყავს—სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი **მ. ხურცილავა.**

მსოფლიო ჩემპიონატი

სტოკჰოლმი. აქ გაიმართა ფეხბურთში 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (ევროპა, VI ჯგუფი) შვეციისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებს შორის.

შვედებმა ძალზე ძლიერად ითამაშეს და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 3:0.

გათამაშების ცხრილი ამ ჯგუფში ახლა ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შოტლანდია	5	3	2	0	6—2	8
ჩრ. ირლანდია	6	2	2	2	5—3	6
შვეცია	6	2	2	2	5—5	6
პორტუგალია	5	2	2	1	4—4	6
ისრაელი	6	0	3	3	2—8	3

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ესპანელთა სიახლე

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა წილისყრა 1982 წლის 6 იანვრის ნაცვლად 9 იანვარს გაიმართოს მადრიდში.

საინტერესოა ჩემპიონატის ესპანელ ორგანიზატორთა სიახლე: მათ სურთ, რომ გუნდებს, რომლებიც მარცხიანად ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირებში, შეუნარჩუნონ გათამაშების ბოლომდე დარჩენის უფლება. უწინ წაგებული გუნდები მაშინვე იგზავნებოდნენ თავიანთ ქვეყნებში.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

გფრ. ჩემპიონის წოდება ზედიზედ მეორედ მოიპოვა მიუნხენის „ბაიერნმა", რომელმაც თანაბრად განვლო მთელი გათამაშება და 53 ქულა დააგროვა. ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ამ გუნდის მოთამაშე რუმენიგე — 29 ბურთი.

II ადგილზეა „ჰამბურგერ შპორტფერაინი" — 49 ქულა, ხოლო მესამეზე — „შტუტგარტი" — 46.

იუგოსლავია. ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" პირველი ადგილის მოსაპოვებლად ბოლო ტურში ფრეც ყოფნიდა თავისივე ქალაქის „პარტიზანთან" შეხვედრაში. გუნდმა შეასრულა ეს ამოცანა — 1:1. ჩემპიონს 44 ქულა აქვს, მას 2 ქულით ჩამორჩა სპლიტის „ჰაიდუკი", ხოლო ნიშის „რადიჩკიმ" დააგროვა 41 ქულა.

პოლონეთი. ამ ქვეყნის ჩემპიონის წოდება პირველად მოიპოვა ლოძის „ვიძევმა", რომელმაც 39 ქულა დააგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან კრაკოვის „ვისლა" (37 ქულა) და ბიტომის „შომბიერკი" (36 ქულა).

„ფეხბურთელი-ორკესტრი"

როგორც ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონის „ბარსელონის" მწვრთნელმა, ფეხბურთის სამყაროში კარგად ცნობილმა სპეციალისტმა ელ. ერერამ განაცხადა, იგი ამ გუნდის გენერალური დირექტორი გახდება, მწვრთნელის თანამდებობას კი გადაულოცავს დასავლეთგერმანელ სპეციალისტს უ. ლატეკს, რომელიც ადრე სათავეში ედგა მიუნხენის „ბაიერნსა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას", ბოლო ხანებში კი დორტმუნდის „ბორუსიის" მწვრთნელი იყო.

თავის დიდ მიღწევად ელ. ერერას ის მიაჩნია, რომ „ბარსელონაში" მოიყვანა ახალგაზრდა დასავლეთგარმანელი მოთამაშე ბერნდ შუსტერი: „იგი დღეისათვის ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ მსოფლიოს № 1 ფეხბურთელად. შუსტერი ჭეშმარიტი „ფეხბურთელი-ორკესტრი" გახლავთ.

წოდებათა მინიჭება

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის მოთხოვნების შესრულებისთვის ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა **„სპორტის ოსტატის"** წოდება მიანიჭა:

ჭიდაობა ძიუდოში — **დ. დანელიას** (ქუთაისი, „ლოკომოტივი"), **ს. ნახარიძეს** (ქუთაისი, „განთიადი"), **გ. ფხუტურს** (თბილისი, „სპარტაკი"), **გ. ქურასბედიანს** (თბილისი, „კოლმეურნე"), **ა. ბენდიანაშვილს** (რუსთავი, „დინამო"), **მ. პაიჭაძეს** (გორი, „განთიადი"), **რ. ძიძიშვილს** (დუშეთი, „კოლმეურნე"), **ვ. ჭელაძეს** და **ე. წიკლაურს** (ორივე — თელავი, „სპარტაკი").

კლასიკურ ჭიდაობაში — **ზ. ტუკვაძეს** (თბილისი, „სპარტაკი"), **ა. რეხვიაშვილს, ვ. სიგუას გ. ცოფურიშვილს** (ყველა — თბილისი, „განთიადი"), **ს. ბიჩინაშვილს** (მახარაძე, „კოლმეურნე"), **ვ. ხუთიაშვილს** (რუსთავი, „შრომითი რეზერვები").

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე. კომარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08027